დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა

პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტის დირექტორის
2017 წლის 7 თებერვლის №01 ბრძანებით

პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტის

შ ი ნ ა გ ა ნ ა წ ე ს ი

პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტისათვის

სტატუსი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტი“ (შემდეგში ინსტიტუტი) შექმნილია საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის (**ბაფი**) მიერ, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის საფუძველზე. ინსტიტუტი დაფუძნებულია 2000 წლის 6 ნოემბერს (ბაფის გამგეობის სხდომის ოქმი №8) და რეგისტრირებულია თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს მიერ 2000 წლის 13 დეკემბერს.

ინსტიტუტის იურიდიული მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №61.

ინსტიტუტის საწესდებო კაპიტალი: 600 000 (ექვსასი ათასი) ლარი.

მმართველობის ორგანო

ინსტიტუტის მმართველობის ორგანოებია:

- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორთა კრება;
- ინსტიტუტის დირექცია.

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა ევალება დირექტორს.

მიზანი და საქმიანობის საგანი

ინსტიტუტის ძირითადი მიზანია ბუღალტერთა პროფესიული სერტიფიცირების პროცესში მონაწილე პირთა პროფესიული მომზადება (გადამზადება) და კვალიფიკაციის ამაღლება.

ინსტიტუტის ძირითადი მიზნიდან გამომდინარე, მისი საქმიანობაა პროფესიონალ ბუღალტერთა წინასაკვალიფიკაციო განათლების პროგრამების განხორციელება.

ინსტიტუტი პროფესიონალ ბუღალტერთა წინასაკვალიფიკაციო პროგრამას ახორციელებს ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტუდენტის ჩარიცხვის წესი

ქართული სექტორი

ქართული სექტორის პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამაში მონაწილეობის უფლება აქვთ:

- ნებისმიერი პროფილის უმაღლესი განათლების მქონე პირებს;
- ნებისმიერი პროფილის პროფესიული განათლების V საფეხურის კვალიფიკაციის ან იდენტური კვალიფიკაციის დიპლომის მფლობელ პირებს;
- ნებისმიერი პროფილის უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს მეხუთე სემესტრიდან;
- ნებისმიერი პროფილის უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს მეოთხე სემესტრიდან იმ პირობით, თუ სტუდენტი აირჩევს მხოლოდ F1 წიგნს „ბუღალტერი ბიზნესში“;
- ბრიტანეთის ნაფიც ბუღალტერთა ასოციაციის (**ACCA**) სტუდენტს, თუ მას ჩაბარებული აქვს მინიმუმ ერთი გამოცდა.

პროგრამაში მონაწილეობის მსურველმა პირმა განცხადებით უნდა მიმართოს ინსტიტუტის ადმინისტრაციას.

პროგრამაში მონაწილეობის მსურველმა პირმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- უმაღლესი ან პროფესიული განათლების დიპლომის ასლი (თუ უმაღლესი ან პროფესიული სასწავლებელი დამთავრებული აქვს);
- ცნობა უმაღლესი სასწავლებლიდან სტუდენტობის შესახებ (თუ უმაღლესი სასწავლებელი დამთავრებული არა აქვს);
- ანკეტა (ინსტიტუტის მიერ დადგენილი ფორმით);
- პირადობის მოწმობის ასლი;
- ფოტოსურათი 3x4.

პროგრამაში მონაწილეობის მსურველი პირი დირექტორის ბრძანებით ჩაირიცხება ინსტიტუტში პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტზე და მიენიჭება სტუდენტის სტატუსი.

ინსტიტუტში ჩარიცხულ ბრიტანეთის ნაფიც ბუღალტერთა ასოციაციის (**ACCA**) სტუდენტს, წარმოდგენილი ცნობის საფუძველზე, უნარჩუნდება შესაბამის წიგნ(ებ)ში მიღებული შეფასება. ხოლო, **ACCA-**ს მიერ ჩათვლილი წიგნ(ებ)ი შეფასდება 50 ქულით. დაუშვებელია **ACCA-**ს სტუდენტის ინსტიტუტში ჩარიცხვა, თუ მას მიღებული აქვს მხოლოდ ჩათვლა და/ან არ აქვს რომელიმე წიგნი ჩაბარებული.

ინსტიტუტი უფლებამოსილია:

- უარი უთხრას პირს სტუდენტად მიღებაზე, თუ ის არ აკმაყოფილებს ინსტიტუტის პროგრამაში ჩართვის პირობებს ან/და სრულყოფილად არ წარმოადგენს მოთხოვნილ დოკუმენტებს;
- გაატაროს დისციპლინარული ზომები იმ სტუდენტების მიმართ, რომლებიც დაარღვევენ შინაგანაწესით დადგენილ წესებს.

პროგრამაში მონაწილეობის მსურველ პირთა ჩარიცხვა ინსტიტუტში ხდება წელიწადში ორჯერ: თებერვალსა და სექტემბერში.

ინგლისური სექტორი

ინგლისური სექტორის პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამაში მონაწილეობის უფლება აქვს ბრიტანეთის ნაფიც ბუღალტერთა ასოციაციის (**ACCA**) სტუდენტს.

პროგრამაში მონაწილეობის მსურველი ინსტიტუტში მიიღება პირადი განცხადების საფუძველზე. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

- ბრიტანეთის ნაფიც ბუღალტერთა ასოციაციის (**ACCA**) საიტზე საკუთარი გვერდის ამონაბეჭდი;
- ანკეტა (ინსტიტუტის მიერ დადგენილი ფორმით);
- პირადობის მოწმობის ასლი;
- ფოტოსურათი 3x4.

ინგლისური სექტორის სტუდენტად პირის ჩარიცხვა ხდება წელიწადში ორჯერ: თებერვალში და სექტემბერში.
სტუდენტს სტატუსი უნარჩუნდება **ACCA**-ს სასერტიფიკაციო გამოცდების დასრულებამდე ან/და პირადი განცხადებით ამორიცხვამდე. ამ დრომდე იგი მიიჩნევა რეგისტრირებულ სტუდენტად.
რეგისტრირებული სტუდენტი შეიძლება იყოს აქტიური, რომელიც **ACCA**-ს გამოცდისათვის ემზადება სასწავლო პროცესში მონაწილეობით და პასიური, რომელიც არ ემზადება გამოცდისათვის ან დამოუკიდებლად ემზადება.

სასწავლო პროგრამა

ქართული სექტორი

ქართული სასწავლო პროგრამა აგებულია **ACCA**-ს საკვალიფიკაციო პროგრამაზე, რომელიც ქართულ ენაზე ადაპტირებულია ბაფის მიერ.

პროგრამა ითვალისწინებს 14 წიგნის შესწავლას, **ACCA**-ს პროგრამით გათვალისწინებული თანმიმდევრობით.

ცოდნის შეფასება ხდება გამოცდის ჩატარებით. სტუდენტი გამოცდას აბარებს თოთხმეტივე წიგნში.

გამოცდა ტარდება სემესტრის ბოლოს, იანვარსა და ივნისში, სამუშაო ან/და დასვენების დღეებში, დილის საათებში.

ინსტიტუტში 2009 წლამდე ჩარიცხული სტუდენტი, რომელიც ამ თარიღისათვის იყო სხვა უმაღლესი სასწავლებლის ეკონომიკური ფაკულტეტის სტუდენტი ან/და კურსდამთავრებული, განთავისუფლებულია სწავლასა და გამოცდისაგან F1 წიგნში „ბუღალტერი ბიზნესში".

სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ, სტუდენტი მიიღებს პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტის დამთავრების დამადასტურებელ სერტიფიკატს.

ინგლისური სექტორი

ინგლისურ სექტორზე სწავლება მიმდინარეობს საერთაშორისო მოდულის **ACCA**-ს პროგრამით.

ინსტიტუტი არ აფასებს სტუდენტის ცოდნას და, შესაბამისად, არ გასცემს ცოდნის დამადასტურებელ დოკუმენტს.

სასწავლო პროცესი

ქართული სექტორი

სასწავლო სემესტრი მოიცავს 4-4,5 კალენდარულ თვეს. სემესტრი იწყება თებერვალსა და სექტემბერში.

ლექციები ტარდება როგორც სამუშაო, ისე გამოსასვლელ დღეებში. სამუშაო დღეებში ლექციები მიმდინარეობს 18:10 საათიდან 21:10 საათის ჩათვლით. გამოსასვლელ დღეებში ლექციები ინიშნება 10 საათიდან.

სემესტრი იხურება სტუდენტის მიერ არჩეულ წიგნში გამოცდის ჩატარებით. სტუდენტს გამოცდაზე ტესტების ამოსახსნელად ეძლევა 2-3 ასტრონომიული საათი.

წიგნი ჩაბარებულად ეთვლება სტუდენტს, რომელიც მიიღებს დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ტოლ ქულას ან მეტს.

ინგლისური სექტორი

სასწავლო სემესტრი მოიცავს 3-3,5 კალენდარულ თვეს. სემესტრი იწყება თებერვალსა და სექტემბერში.

ლექციები ტარდება როგორც სამუშაო, ისე გამოსასვლელ დღეებში. სამუშაო დღეებში ლექციები მიმდინარეობს 18:10 საათიდან 21:10 საათის ჩათვლით. გამოსასვლელ დღეებში ლექციები ინიშნება 10 საათიდან.

სამესტრი იხურება სალექციო საათების ამოწურვით.

ორივე სექტორისათვის ჯგუფების შესაქმნელად გამოიყენება შემდეგი პრინციპი:

- ახალი წიგნის არჩევისას სტუდენტმა უნდა დაიცვას თანმიმდევრობა;
- წიგნის შერჩევა უნდა მოხდეს ადმინისტრაციის მიერ დათქმულ ვადებში;
- ჯგუფში სტუდენტების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 30-ს.
- ჯგუფი არ შეიქმნება 8-ზე ნაკლები სტუდენტისათვის.

სტუდენტის უფლება-მოვალეობები

ქართული სექტორი

სტუდენტი ვალდებულია:

- გააფორმოს ხელშეკრულება ინსტიტუტთან;
- აირჩიოს შესასწავლი წიგნი, **ACCA**-ს პროგრამით გათვალისწინებული თანმიმდევრობით და დაესწროს ლექციებს არჩეული გრაფიკის მიხედვით;
- არ გააცდინოს ლექციები;
- მონაწილეობა მიიღოს შუალედურ ტესტირებასა და სემესტრულ გამოცდაში;
- შეასრულოს სწავლებასთან დაკავშირებული მითითებები და დავალებები;

- ჩართული იყოს ყველა სემესტრის სასწავლო პროცესში, თუ წინა სემესტრში შესწავლილ წიგნებში გამოცდის შედეგად მიღებული აქვს დადებითი შეფასება;
- გადაიხადოს სწავლის საფასური ხელშეკრულების შესაბამისად;
- მომდევნო სემესტრში განმეორებით ჩააბაროს გამოცდა იმ წიგნში, რომელშიც პირველ ცდაზე გამოცდის შედეგად მიღებული არა აქვს დადებითი შეფასება;
- არ მოსწიოს სიგარეტი ინსტიტუტის შენობაში;
- დაიცვას ინსტიტუტის შინაგანაწესი.

სტუდენტი უფლებამოსილია:

- მიაწოდოს წინადადება ინსტიტუტის ხელმძღვანელობას, სასწავლო პროცესის გაუმჯობესების ღონისძიებების შესახებ;
- გააგრძელოს სწავლა მომდევნო წიგნებში, თუ წინა გამოცდების შედეგად არადამაკმაყოფილებელი შეფასება არა აქვს ერთზე მეტ წიგნში.
- წერილობითი განცხადების საფუძველზე დროებით შეაჩეროს მონაწილეობა სასწავლო პროცესში: პირველ-ცხრა წიგნში 1 წლამდე, ხოლო ზედა წიგნებში 1,5 წლამდე ვადით. ამ უფლების გამოსაყენებლად სტუდენტმა აკადემიური შვებულების გასაფორმებლად განცხადებით უნდა მიმართოს ინსტიტუტის დირექციას სასწავლო პროცესში მონაწილეობის შეწყვეტიდან ერთი სემესტრის განმავლობაში. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ სტუდენტი კარგავს აღნიშნული უფლების გამოყენების შესაძლებლობას და იგი გაირიცხება ინსტიტუტიდან. აკადემიური შვებულების ვადა აითვლება სასწავლო პროცესში მონაწილეობის შეწყვეტის დღიდან.

ინგლისური სექტორი

სტუდენტი ვალდებულია:

- გააფორმოს ხელშეკრულება ინსტიტუტთან;
- დაესწროს ლექციებს არჩეული გრაფიკის მიხედვით;
- არ გააცდინოს ლექციები;
- შეასრულოს სწავლებასთან დაკავშირებული მითითებები და დავალებები;
- გადაიხადოს სწავლის საფასური ხელშეკრულების შესაბამისად;
- არ მოსწიოს სიგარეტი ინსტიტუტის შენობაში;
- დაიცვას ინსტიტუტის შინაგანაწესი.

სტუდენტი უფლებამოსილია:

- ჩართული იყოს სასწავლო პროცესში ინსტიტუტის მიერ ჯგუფის შესაქმნელად გამოცხადებულ წიგნებში;
- იყოს პასიური სტუდენტი;
- გახდეს აქტიური სტუდენტი ინსტიტუტის მიერ ჯგუფის შესაქმნელად გამოცხადებულ ნებისმიერ წიგნებში;
- მიაწოდოს წინადადება ინსტიტუტის ხელმძღვანელობას, სასწავლო პროცესის გაუმჯობესების ღონისძიებების შესახებ.

სწავლის საფასური

ინსტიტუტში სწავლა ფასიანია. ფასი დადგენილია წიგნების მიხედვით. სწავლის საფასურის გადახდა ხდება სემესტრის დაწყებამდე ინსტიტუტის საბანკო ანგარიშზე ნაღდი ფულის შეტანის ან ჩარიცხვის გზით.

თუ სწავლის დაწყებიდან 30 კალენდარულ დღეში სტუდენტი აკადემიური შვებულებით სარგებლობის განცხადებით მიმართავს ინსტიტუტის დირექციას, სწავლის საფასურის მომდევნო თვეების პროპორციული თანხა სტუდენტს ენახება აკადემიური შვებულებიდან დაბრუნებამდე. 30 კალენდარული დღის შემდეგ აკადემიური შვებულებით სარგებლობის მთხოვნელ სტუდენტს სწავლის საფასური არ უბრუნდება და არ ენახება აკადემიური შვებულებიდან დაბრუნების დროისათვის.

არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების ან სხვა შემთხვევაში, იმავე წიგნში განმეორებითი ლექციების მოსმენის მსურველი სტუდენტისათვის, სწავლის საფასური განისაზღვრება დადგენილი საფასურის 50 პროცენტის ოდენობით.

ინსტიტუტი უფლებამოსილია:

- დაადგინოს განსხვავებული სწავლის საფასური წიგნებისა და სექტორების მიხედვით;
- შეცვალოს დადგენილი სწავლის საფასური წინა ცვლილებიდან ერთი წლის შემდეგ 10 პროცენტამდე ოდენობით.

დისციპლინური ზომები

ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, სტუდენტის მიმართ ინსტიტუტის ხელმძღვანელობის მიერ გამოიყენება დისციპლინური ზომები. დისციპლინური ზომა მიმართულია სტუდენტის ეთიკური ნორმების დაცვის უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად.

ადმინისტრაცია უფლებამოსილია, გამოიყენოს უმაღლესი ადმინისტრაციული ზომა – სტუდენტის გარიცხვა ინსტიტუტიდან. უმაღლესი ადმინისტრაციული ზომა გამოიყენება, თუ სტუდენტი:

- დაარღვევს სახელშეკრულებო პირობას, სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით;
- შემჩნეული იქნება ინსტიტუტის შენობაში სიგარეტის მოწევაში ან სხვა სტუდენტისათვის შეუფერებელ ქცევასა და დისციპლინის დარღვევაში;
- არ შეასრულებს თავის ვალდებულებას სასწავლო პროცესის გაგრძელებასთან მიმართებით, კერძოდ, ერთი სემესტრის შემდეგ მაინც არ გამოიყენებს თავის უფლებას მომდევნო წიგნებში სწავლის გასაგრძელებლად;
- დაკარგავს მომდევნო წიგნებში სწავლის გაგრძელების უფლებას (ერთზე მეტ წიგნში უარყოფითი შეფასების დაგროვების შედეგად); ეს დისციპლინური ზომა გამოყენებული არ იქნება, თუ სტუდენტი ერთ რომელიმე წიგნში მაინც განმეორებით დაესწრება ლექციებს და გადაიხდის სწავლის საფასურს;
- არ შეასრულებს თავის ვალდებულებას, განმეორებით გამოცდასთან დაკავშირებით (ბოლო სამი პუნქტი ეხება მხოლოდ ქართული სექტორის სტუდენტებს).

დასაშვებია ნებისმიერი მიზეზით გარიცხული სტუდენტის აღდგენა. სტუდენტის უფლებების აღდგენის მსურველი პირი ვალდებულია გადაიხადოს ჯარიმა აღდგენის საფასურის სახით. საჯარიმო თანხა დადგენილია შემდეგი ოდენობით:

- გარიცხვიდან ერთ წელიწადში (გარიცხვიდან მეორე ან მესამე სემესტრში) აღდგენის დროს – 100 ლარი;
- გარიცხვიდან ერთ წელზე მეტი ხნის გასვლის შემდეგ აღდგენისას – 200 ლარი.

გარიცხვის შემდგომ აღდგენილი სტუდენტის მიმართ მოქმედებს აღდგენის მომენტში გამოყენებული შინაგანაწესი.

ძალაშია 2017 წლის 7 თებერვლიდან.